ჭეშმარიტად, უზენაესი ალლაჰი გიკრძალავთ მამებზე დაფიცებას

გადმოცემულია უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, უზენაესი ალლაჰი გიკრძალავთ მამებზე დაფიცებას», უმარმა თქვა: ვფიცავ ალლაჰს, მე მსგავსად აღარასოდეს დამიფიცია მას მერე, რაც შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მსვიდობა მას) გავიგონე, რომ აკრძალა მამებზე დაფიცება, არც განზრახ და არც სხვების გადმოცემით.
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ უზენაესი ალლაჰი მამებზე დაფიცებას კრძალავს. ვისაც სურს, რომ დაიფიცოს მან მხოლოდ ალლაჰზე დაიფიცოს, და არავისზე დაიფიცოს მის გარდა. შემდეგ უმარ იბნ ალ-ხატტაბი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) იხსენებს, რომ მის შემდეგ რაც მოისმინა შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მსგავსი ფიცის აკრძალვაზე, აღარასოდეს დაუფიცია, არც განზრახვით და არც სხვისგან გადმოცემით ალლაჰის გარდა სხვაზე.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/2945